

„სოტბის“ რეჟისი კონტრაბანდის საგადასახადო გაყიდვა

ავსტრიის პროკურატურამ საქმე „სოტბის“ წინააღმდეგ მას შემდეგ აღძრა, რაც ცნობილმა სააუქციონო სახლმა რუბენსის სურათი „ყრმათა გვემა“ გაყიდა, რომელიც ავსტრიელ ქალბატონს ეკუთვნოდა. ამასთან, ბოლო მომენტამდე არაფერი იცოდა, რომ „ყრმათა გვემა“ რუბენსის მიერ იყო შესრულებული, ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი მისმა უმცროსმა კოლეგამ, იან ვან დერ ხიოკემ დახატა.

ავსტრიის პროკურატურამ მიიღო დასმენის წერილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ „სოტბის“ თანამშრომლები სურათის მეტატრონეს მოელაპარაკენ, რომ არ გაეხმაურებინა სურათის ავტორის სახელი და წყნარად გაეტანა „ყრმათა გვემა“ ავსტრიიდან. სურათის ქვეყნიდან გატანის ნებართვაში ვან დერ ხიოკეს გვარია მითითებული და შესაბამისად, მასზე გადასახადიც მცირე იყო დაწესებული, იმის გათვალისწინებით, რომ მეორეხარისხოვანი ფლანდრიელი მხატვრის სურათი გადიოდა.

„სოტბის“ თანამშრომლები, რა თქმა უნდა, ამ ბრალდებებს უარყოფენ - „ჩვენ მხოლოდ ლონდონში შევქმელით გაგვეგო, რომ ეს სინამდვილეში რუბენსის ნამუშევარი იყო. ამაზე ექსპერტების მთელი არმია მუშაობდა და მხოლოდ ამის შემდეგ გავიგეთ, რომ ეს რუბენსია“, აცხადებს „სოტბის“ აუქციონის ავსტრიის განყოფილების უფროსი ანდრეა იუნგმანი.

მსოფლიოს ორი წამყვანი აუქციონის „სოტბის“ და „კრისტის“ გარეშე მოატყუებოდა სანდალების, სასამართლო სარჩელების და მათთვის დაწესებული კატასტროფული ჯარიმების შემდეგ, როგორც ჩანს, მათ კიდევ დიდხანს ნაუყენებენ სხვადასხვა სახის ბრალდებებს.

ეგვიპტის მუზეუმი ასი წლის თავს აღნიშნავს აღნიშვნას

ეგვიპტის მუზეუმი დაარსებიდან ასი წლის თავს აღნიშნავს, გამოფენით, „ქაიროს მუზეუმის დამალული განძი“, რომელიც 19 სექტემბერს გაიხსნება. ამის შესახებ ეგვიპტური სიძველეების საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზაკი ჰავასმა განაცხადა. ქაიროს მუზეუმის შენობა 1900 წელს ნიუკლასიკურ სტილში ფრანგი არქიტექტორის, მარსელ დიურნიონის მიერ აიგო. ამჟამად მუზეუმის კოლექცია 120000 ობიექტს შეიცავს, წინარე ისტორიული ხანიდან დაწყებული ბერძნულ-რომაული ხანის ჩათვლით. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნლების განმავლობაში დამალული ნივთები. ექსპოზიცია ერთ წელიწადს გასტანს. ჰავასი ამბობს, რომ ქაიროს მუზეუმის ინტერიერიც და ექსტერიერიც განახლდება. სექტემბერში ზაკი ჰავასი პუბლიკის თანდასწრებით გახსნის ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინის პირამიდებთან აღმოჩენილ სარკოფაგებს და იმედოვნებს, რომ მათი მეცნიერული შესწავლა ცხადს გახდის, თუ როგორ შენდებოდა გიზას პირამიდები.

თითქოს შარკოლენე

ზუსტად 15 წლის წინათ ლეგენდარული Pink Floyd-ის ნევრებმა იჩნებეს და ერთმანეთის დანახვა აღარ უნდოდათ. ახლა კი, Express-ის ცნობით, როჯერ უოტერსი და ნიკ მესონი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, ბევრი ისაუბრეს და დაივიწყეს მრავალწლიანი უსიამოვნება. მაგრამ Pink Floyd-ის კვლავ გაერთიანება მაინც საეჭვოა: დეივ გილმორი იმით ამყოფს(!), რომ 1983 წლიდან უოტერსს არსად გადაყრია და ახლა მასთან რაიმეზე საუბარიც კი გამოირიცხულად მიაჩნია.

ავტოსაგზაო შემთხვევაში Oasis-ის ამერიკელი ტურნე ჩაგდება

ოთხშაბათს Oasis-ის მუსიკოსები, ამერიკული გასტროლების დროს, ინდიანაპოლისში ავტოკატასტროფაში მოყვნენ. ნოელ გალაჰერი, ენდი ბელი და ჯეი დარლინგტონი სხეულის სხვადასხვა დაზიანებებით ჰოსპიტალში მოათავსეს. თუმცა, არცერთი მათგანის ტრავმა არაა სერიოზული. ნოელმა, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა, დაზიანება სახეზე მიიღო; დარლინგტონმა კი ხელი იფხო, თუმცა, იგი დროულად გაუშვეს საავადმყოფოდან. ექიმებმა მუსიკოსებს 48 საათიანი სრული სიმშვიდე გამოუწერეს.

ამგვარად, Oasis იძულებული გახდა კონცერტი Murat Theater-ში უვადოდ გადაეტანა. კონკრეტულ თარიღს ისინი მოგვიანებით გაახმაურებენ.

ჯგუფმა უკვე მოასწრო მსმენელთან მოზოდიმება გადადებული კონცერტის გამო და იმედი გამოთქვას, რომ უახლოეს მომავალში ლირსეულად წარსდგებიან მათ წინაშე.



საბელაფონი ქავერი

მ-07

